დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 25.08.2025 წლის N2/130 ბრძანებით
ცვლილებები შესულია
რექტორის 30.12.2025 წლის N2/206 ბრძანებით

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის /პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების
პროგრამის კომპონენტების დისტანციურად
განხორციელების წესი და პირობები

BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე!
ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

2025წ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის (შემდგომ– პროგრამა) კომპონენტების დისტანციურად განხორციელების წესს – პირობებს და მისი ეფექტიანობისათვის საჭირო ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

1.2. წესი განსაზღვრავს აკადემიაში ელექტრონული პლატფორმებით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვას და მისი ადმინისტრირებას.

1.3. დისტანციური სწავლება გულისხმობს სრულად თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სასწავლო პროცესს, მის დისტანციური/ელექტრონული ფორმით, ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით წარმართვას.

1.4. დისტანციური სწავლება ხორციელდება სინქრონული ან ასინქრონული კომუნიკაციის ფორმით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება, ხოლო ასინქრონული კომუნიკაცია – ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებს შორის კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს არ ხორციელდება.

1.5. პროგრამა არ შეიძლება განხორციელდეს დისტანციური სწავლების სრულად ასინქრონული ფორმით.

1.6. ნაწილობრივ დისტანციური/ჰიბრიდული მიდგომა - გულისხმობს სინქრონული, ასინქრონული და კონტაქტური (აუდიტორიაში) სწავლების კომბინირებულად გამოყენებას.

1.7. აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისა/მსმენელების და მასწავლებლებისთვის გამოყენებული პლატფორმების გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას/კონსულტაციის გაწევას.

1.8. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირება ხორციელდება სასწავლო პროცესის დაწყებამდე და მოიცავს ინფორმაციას:

- გამოყენებული ელექტრონული პლატფორმების, მათზე წვდომისა, სასწავლო მასალების მიღების წესების და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ.
- დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლებისთვის აუცილებელი ტექნიკური მოთხოვნების შესახებ, მათ შორის: კომპიუტერის ან სმარტფონის, ინტერნეტთან წვდომის, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის, ელექტრონული ფოსტისა და სხვა საჭირო ტექნიკური რესურსების არსებობა და გამოყენება.

1.9. აკადემია უზრუნველყოფს დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლებისას გამოყენებული ელექტრონული პლატფორმების უსაფრთხო პარამეტრების გამოყენებას, მათ შორის:

- დაცული ბმულები (Meeting Links) და მათი გავრცელების კონტროლი;
- შეხვედრების პაროლით დაცვა და მონაწილეთა ავტორიზაცია;
- მონაცემთა დაშიფვრა (შესაძლებლობის შემთხვევაში) და დაცული არხებით გადაცემა;
- შეხვედრის/ლექციის აუდიტორიის დახურვა (lock meeting);

მუხლი 2. დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ორგანიზება და მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტით, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით და/ან დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განისაზღვრება პროგრამის ის კომპონენტები, რომელთა დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად სწავლება და/ან შეფასება შესაძლებელია.

2.2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ან მისი კომპონენტების სპეციფიკის გათვალისწინებით, კონკრეტული კომპონენტების დისტანციური სწავლების რეჟიმში განხორციელებას ან სასწავლო პროცესის მთლიანად დისტანციურ რეჟიმში წარმართვას საბოლოოდ წყვეტს რექტორი, რომელიც აღნიშნულის თაობაზე გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

2.3. დისტანციური სწავლების შემთხვევაში ერთი ლექციის ხანგრძლივობა შეადგენს 50 საკონტაქტო წუთს.

2.4. დაუშვებელია ინტეგრირებული ზოგადი მოდულების სწავლება დისტანციური ფორმით.

2.5. დაუშვებელია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება დისტანციური ფორმით.

2.6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების პროცესის ორგანიზება არადისტანციური (პირისპირ) ფორმით.

2.7. სასწავლო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია თითოეული სტუდენტის ტექნიკური შესაძლებლობები. დამატებითი მოთხოვნები შესაძლოა განსაზღვრული იყოს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

2.8. აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ელექტრონულ საბიბლიოთეკო რესურსებზე წვდომას, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დავალებების მიწოდებასა და კონსულტაციების გაწევას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, მათ შორის სატელეფონო კავშირის საშუალებით.

2.9. პროფესიული განათლების მასწავლებლები ვალდებულნი არიან დარეგისტრირდნენ აკადემიის მიერ შერჩეულ ელექტრონულ პლატფორმებზე, უზრუნველყონ სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის შესაბამისი სასწავლო მასალების მიწოდება და სასწავლო აქტივობების აღრიცხვა.

2.10. დისტანციური სწავლების განხორციელებისთვის საჭირო დამატებითი რესურსების გამოყოფასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

2.11. აკადემია უფლებამოსილია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა, რათა არც ერთი პროფესიული სტუდენტი/მსმენელი არ აღმოჩნდეს დისტანციური სასწავლო პროცესის მიღმა ან არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს. საჭიროების შემთხვევაში აკადემიაში გამოყოფილ სივრცეში შესაძლებელია სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის შესაბამისი მომსახურების გაწევა მოთხოვნის საფუძველზე.

2.12. აკადემია ვალდებულია დისტანციური სწავლების პროცესში დაიცვას პროფესიული სტუდენტების/მსმენელების პერსონალური მონაცემები და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

2.13. აკადემიაში დაგეგმილი ექსტრაკურიკულური აქტივობები (სასერტიფიკატო კურსები, შეხვედრები, კონსულტაციები, ტრენინგები და სხვა) შესაძლებელია განხორციელდეს დისტანციური პლატფორმების გამოყენებით.

2.14. სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად აკადემია იყენებს ლიცენზირებულ Zoom პლატფორმას. სხვა ელექტრონული პლატფორმის გამოყენება დასაშვებია რექტორთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

2.15. დისტანციური სწავლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აკადემია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების/მსმენელებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ინსტრუქციებით აღჭურვას შერჩეული დისტანციური სწავლების აპლიკაციის/პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით.

2.16. აკადემიის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი სისტემატურად აწარმოებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების დისტანციურ ლექციებზე დასწრების აღრიცხვას.

2.17. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი ვალდებულია დაადგინოს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დისტანციური ლექციების ხშირი გაცდენის მიზეზები და, თუ ეს გამოწვეულია ტექნიკური მხარდაჭერის არქონით, ინფორმაცია მიაწოდოს აკადემიის რექტორს და პრობლემის მოგვარებამდე დაგეგმოს ალტერნატიული ღონისძიებები სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩასართავად.

2.18. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩაერთოს დისტანციურ სწავლებაში მიწოდებული გრაფიკის შესაბამისად, ადეკვატური გარემოდან.

2.19. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ონლაინ სივრცეში შემოსვლით ადასტურებს სასწავლო პროცესში მონაწილეობას; იდენტიფიცირება უნდა განხორციელდეს სახელისა და გვარის მითითებით.

2.20. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია მასწავლებლის ან/და ადმინისტრაციული პერსონალის მოთხოვნის შემთხვევაში ჩართოს ან გამორთოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობები.

2.21. პროფესიული განათლების მასწავლებელი დისტანციურ/ნაწილობრივ დისტანციურ სწავლებას ახორციელებს შეთანხმებული სასწავლო განრიგის დაცვით, ასინქრონული, სინქრონული ან შერეული მეთოდის გამოყენებით.

2.22. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დარეგისტრირდეს აკადემიის მიერ შერჩეულ პლატფორმაში და უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის ჩართვის ბმულის მიწოდება დადგენილი ცხრილის შესაბამისად.

2.23. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დისტანციური ჩართვა განახორციელოს ადეკვატური გარემოდან.

2.24. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვოს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს ვიდეო და აუდიო მოწყობილობის ჩართვა.

2.25. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში, მოთხოვნის შესაბამისად, განახორციელოს საკონტაქტო საათების ვიდეოჩანაწერი და მოთხოვნიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს სასწავლო პროცესის შესაბამის თანამშრომლებს.

2.26. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს სასწავლო პროცესის მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

2.27. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია დაგეგმოს და განახორციელოს დისტანციური სწავლება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და კალენდარული გეგმის შესაბამისად.

2.28. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა გამოკითხვებს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

2.29. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით ჩატარებულ ონლაინ გამოკითხვებში და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრებები და რეკომენდაციები.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასება

3.1. მოდული, რომლის სწავლის შედეგების დისტანციური სწავლების მეთოდით მიღწევა შეუძლებელია, ხორციელდება აკადემიაში კონტაქტური/აუდიტორიული სწავლებით.

3.2. მოდული, რომლის სწავლის შედეგების მიღწევა დისტანციური სწავლების მეთოდით შესაძლებელია, შეფასება შეიძლება ჩატარდეს დისტანციურად, ნაწილობრივ დისტანციურად ან კონტაქტური ფორმით.

3.3. დისტანციური შეფასების ალტერნატიული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს იმავე სწავლის შედეგების შეფასების შესაძლებლობას, რაც ტრადიციული (კონტაქტური) შეფასების შემთხვევაში.

3.4. გამოკითხვის მიმართულებით, წერილობითი შეფასების(ტესტები) დისტანციურად ჩატარება შესაძლებელია სასწავლო პროცესის ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით.

3.5. დისტანციური შეფასებისას პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობები; აღნიშნული მოთხოვნის შესრულების გარეშე პირი შეფასებაზე არ დაიშვება;

3.6.დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების ფარგლებში პრაქტიკული დავალების /პრაქტიკული დავალება დაკვირვებით შეფასება უნდა განხორციელდეს ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს შეფასების ვალიდურობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, ასევე პროგრამის შესაბამისი სწავლების შედეგების შეფასება.
3.7.პრაქტიკული დავალების დისტანციური შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგი მეთოდებით:

3.7.1.ვიდეო ჩანაწერი

- პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს დაევალება პრაქტიკული დავალების შესრულების ვიდეო ჩანაწერის შექმნა და მისი გადმოცემა აკადემიის მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ სისტემაში (მაგ. LMS, ელექტრონული ფოსტა, Google Drive/OneDrive და სხვა).
- ჩანაწერში უნდა იყოს მოცემული: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ჯგუფი , დავალების დასახელება და შესრულების თარიღი.
- ჩანაწერის ხანგრძლივობა და ფორმატი განისაზღვრება შეფასების ინსტრუმენტით;

3.7.2.ელექტრონული პორტფოლიო (Portfolio)

- პროფესიული სტუდენტი/მსმენელი აგროვებს და დისტანციურად ატვირთავს პრაქტიკული დავალების შედეგად მიღებულ შედეგებს (ფაილები, ფოტოები, გრაფიკები, პროექტები, ტექსტური ჩანაწერები , სქრინები და სხვა).

3.7.3.დისტანციური პრეზენტაცია

- პროფესიული სტუდენტი/მსმენელი დისტანციურად წარადგენს შესრულებულ პრაქტიკულ დავალებას (Zoom ან სხვა პლატფორმა) და პასუხობს პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს.
- პრეზენტაცია უნდა ჩატარდეს შესაბამისი სქემით (დრო, ფორმატი).

3.7.4. პრაქტიკული დავალებები/ სავარჯიშოები

- თუ პრაქტიკული დავალების შედეგები შესაძლებელია დისტანციურად შეფასდეს ვირტუალური ლაბორატორიების, სფრინტ-დავალებების ან სხვა ელექტრონული დავალებების/სავარჯიშოების მეშვეობით, მათი გამოყენება დასაშვებია.

3.8. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია უზრუნველყოს ტექნიკური შესაძლებლობები (ინტერნეტი, მოწყობილობა, საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა) და ჩაერთოს შეფასების პროცესში დადგენილი წესით.
3.9. პროფესიული სტუდენტი/მსმენელი დისტანციურად შესრულებული პრაქტიკული დავალების დოკუმენტაციას (ვიდეო/პორტფოლიო/დოკუმენტი) ატვირთოს აკადემიის მიერ განსაზღვრულ ელექტრონულ სისტემაში განსაზღვრულ ვადაში;
3.10. დისტანციური შეფასების დროსპროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია გამოიყენოს საკუთარი, ავთენტური (პირადი) შედეგები და არ დაარღვიოს აკადემიის ანტიპლაგიატური პოლიტიკა.
3.11. დისტანციური შეფასების შედეგების გასაჩივრება ხორციელდება აკადემიაში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებული წესის შესაბამისად.
3.12. დისტანციურად/ელექტრონულად დადასტურებული სწავლის შედეგების დამადასტურებელი მტკიცებულება ინახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.
3.13. შეფასების შედეგები პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს ეცნობება პერსონალური მონაცემების დაცვის მოთხოვნების დაცვით, ინდივიდუალურად, ელექტრონული სისტემების გამოყენებით.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

4.1. დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მონიტორინგი გულისხმობს სასწავლო ცხრილის მიხედვით სასწავლო მასალების განთავსებისა და დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური მეცადინეობების ჩატარების პერიოდულ კონტროლს.

4.2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პროცესის კმაყოფილების კვლევისა და ანალიზის ორგანიზებას.

4.3. კითხვარების ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, საკითხების დაზუსტება ხდება მასწავლებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან/მსმენელებთან შეხვედრების საშუალებით (გუნდურად და/ან ინდივიდუალურად).

4.4. დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პროცესის ანალიზი ტარდება მინიმუმ 6 თვეში ერთხელ. ანალიზის შედეგები განიხილება დაინტერესებულ მხარეებთან, იგეგმება შემდგომი განვითარების მიმართულებები და საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება ცვლილებები როგორც სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, ასევე პროფესიულ პროგრამებში.

4.5. საჭიროების შემთხვევაში, პროგრამების განხორციელებაში მასწავლებლების მხარდაჭერა უზრუნველყოფილია დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ ტრენინგებით, ვორქშოფებით და/ან კონსულტაციებით.

4.6. დისტანციური სწავლების პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი კითხვარები:

ა) პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი (დანართი #1-ის შესაბამისად);

ბ) პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი (დანართი #2-ის შესაბამისად).

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დაცვა

5.1. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის და აკადემიის პერსონალის პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს დისტანციური/ნაწილობრივ დისტანციური სწავლების პროცესის უწყვეტად, ეფექტიანად და უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

5.2. დისტანციური სწავლების პროცესში გამოყენებული ონლაინ ლექცია, ვიდეოჩანაწერი და სხვა ელექტრონული სასწავლო მასალა შესაძლოა შეიცავდეს პერსონალურ მონაცემებს. მათი გამოყენება, გამჟღავნება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ან აკადემიის თანამშრომლის წინასწარი, ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე.

5.3. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ნებისმიერი ვიდეოლექცია, აუდიოჩანაწერი და ელექტრონული სასწავლო მასალა წარმოადგენს აკადემიის საკუთრებას და/ან აკადემიისა და პროფესიული მასწავლებლის თანაბარ საკუთრებას. აღნიშნული ჩანაწერის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აკადემიის შიდა მიზნებისთვის, მათ შორის სასწავლო პროცესის მართვის, მონიტორინგისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.

5.4. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ვიდეოჩანაწერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინახება დადგენილი ვადით და ინახვის ვადის დასრულების შემდეგ განადგურდება/წაიშლება, დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 6. ეტიკეტის ნორმები

6.1. ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და პროფესიული სტუდენტი/მსმენელი ვალდებულია დაიცვას შემდეგი ნორმები:

6.1.1. შეარჩიოს ონლაინ ჩართვისთვის ადეკვატური გარემო, მოულოდნელი ხმაურის შემთხვევაში გამორთოს მიკროფონი.

6.1.2. ლექციის დაწყებამდე 5–10 წუთით ადრე შეამოწმოს ტექნიკური საშუალებები.
6.1.3. არ დააგვიანოს საკონტაქტო საათზე შესვლა.
6.1.4. დაიცვას ეთიკისა და კომუნიკაციის წესები.
6.1.5. უზრუნველყოს, რომ კამერაში არ გამოჩნდეს არასასურველი გამოსახულება.
6.1.6. დაიცვას დისკუსიის წესები (ერთმანეთის მოსმენა, რეგლამენტი, შეკითხვების დასმა და ა.შ.).
6.1.7. თავი შეიკავოს იუმორისა და სარკაზმისაგან, პატივი სცეს სხვის აზრს.
6.1.8. არ გააზიაროს პერსონალური ინფორმაცია.
6.1.9. დისკუსიის პანელში დასვას მხოლოდ საკითხთან დაკავშირებული შეკითხვები.
6.1.10. აკრძალულია ჟარგონის, ბარბარიზმების, სლენგის გამოყენება.
6.1.11. წერილის გაგზავნამდე შეასწოროს გრამატიკული შეცდომები.
6.1.12. თავი შეიკავოს დამამცირებელი ან უადგილო ემოციების სიმბოლოების გამოყენებისგან.
6.1.13. ონლაინ კომუნიკაციაში იყოს პოზიტიური და დაიცვას კომუნიკაციის წესები.
6.1.14. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს განმარტება.
6.1.15. განათავსოს მხოლოდ სწავლისთვის განკუთვნილი ინფორმაცია.
6.1.16. არ გამოაქვეყნოს საჯარო/დახურულ სივრცეში სხვისი პირადი ინფორმაცია, ფოტო ან ვიდეო დაუკითხავად.
6.2. წესების დარღვევა ჩაითვლება ეთიკის კოდექსის დარღვევად და აკადემია უფლებამოსილია იმოქმედოს შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები
7.1. აღნიშნულ წესში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება რექტორის ბრძანებით.

დანართი 1.

პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი

კვლევის მიზანი

პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უკუკავშირის შეგროვება დისტანციური სწავლების პროცესის ხარისხის, სასწავლო გარემოს, შეფასების მექანიზმებისა და სტუდენტთა ჩართულობის შესახებ, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით.

გამოკითხვა არის კონფიდენციალური, აკადემიის მიერ იქნება გამოყენებული განზოგადებული სახით, სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

წინასწარ მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

ჩაწერეთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების დასახელება, რომელზედაც სწავლობთ

---

1. გაქვთ თუ არა დისტანციური სწავლების გამოცდილება?

☐ დიახ

☐ არა

2. როგორ შეაფასებდით ზოგადად დისტანციური სწავლების პროცესს თქვენს პროგრამაზე?

☐ დადებითად

☐ უარყოფითად

3. დისტანციური სწავლებისას გამოყენებული ონლაინ პლატფორმა (მაგ.: Zoom) უზრუნველყოფს თუ არა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად ჩატარებას?

☐ დიახ

☐ არა

4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასურველია სხვა ონლაინ პლატფორმის გამოყენება სასწავლო პროცესში?

☐ დიახ

☐ არა

5. დისტანციური სწავლებისას სასწავლო მასალის მიწოდების რომელი გზები გამოიყენება?

(შეგიძლიათ მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე)

☐ ონლაინ პლატფორმის საშუალებით

☐ სასწავლო პლატფორმის (LMS) გამოყენებით

☐ ელექტრონული ფოსტით

☐ სოციალური ქსელების/მესენჯერების მეშვეობით

☐ სხვა (გთხოვთ მიუთითოთ): _____

6. რამდენად გასაგებად გადმოიცემა პროფესიული მასწავლებლისგან თემატიკა დისტანციური სწავლებისას?

☐ გასაგებად

☐ საშუალოდ
☐ სრულიად გაუგებრად

7. დისტანციური მეცადინეობებისას გაქვთ თუ არა შესაძლებლობა დასვათ კითხვები და მიიღოთ უკუკავშირი პროფესიული მასწავლებლისგან?

☐ ყოველთვის
☐ ხშირად
☐ ზოგჯერ
☐ იშვიათად
☐ არასდროს

8. პროფესიული მასწავლებელი ხელს უწყობს თუ არა სტუდენტთა/მსმენელთა აქტიურ ჩართულობას დისტანციური სწავლების პროცესში?

☐ სრულად
☐ ნაწილობრივ
☐ არ უწყობს ხელს

9. დისტანციური სწავლებისას, რამდენად აქტიურად მონაწილეობთ ონლაინ მეცადინეობებში?

☐ აქტიურად
☐ საშუალოდ
☐ საერთოდ არ ვარ აქტიური

10. დისტანციური სწავლების ფორმატი ხელს უწყობს თქვენი სასწავლო მოტივაციის შენარჩუნებას?

☐ სრულად
☐ ნაწილობრივ
☐ არ უწყობს ხელს

11. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების პირობებში შედეგის დადასტურების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას?

☐ სრულად ვეთანხმები
☐ ნაწილობრივ ვეთანხმები
☐ არ ვეთანხმები

12. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების პირობებში შედეგის დადასტურების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას?

☐ სრულად ვეთანხმები
☐ ნაწილობრივ ვეთანხმები
☐ არ ვეთანხმები

13. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების პირობებში შედეგის დადასტურების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას?

☐ სრულად ვეთანხმები
☐ ნაწილობრივ ვეთანხმები
☐ არ ვეთანხმები

14. თქვენი აზრით, რა საჭიროებები არსებობს დისტანციური სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით?

(გთხოვთ მიუთითოთ)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გისურვებთ წარმატებებს!

დანართი #2

პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ დისტანციური სწავლების შეფასების კითხვარი

კვლევის მიზანი:
დისტანციური სწავლების ხარისხის შეფასება, სტუდენტთა/მსმენელთა გამოცდილების, სასწავლო პროცესის ორგანიზების, შეფასების მექანიზმების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით.
შეფასებები არის კონფიდენციალური, აკადემიის მიერ გამოყენებული იქნება განზოგადებული სახით, სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და ახალი სამოქმედო ინსტრუქციების შესაქმნელად.

წინასწარ მადლობას გიხდით კითხვარის შევსებისა და აზრის გაზიარებისთვის!

გთხოვთ მიუთითეთ პროფესიული საგანმანათლებლო /პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა/პროგრამები, რომლის ფარგლებშიც, იყენებთ დისტანციური სწავლების მეთოდს
---

1. გაქვთ თუ არა დისტანციური სწავლების გამოცდილება?
☐ დიახ
☐ არა
2. როგორ შეაფასებდით ზოგადად დისტანციური სწავლების პროცესს?

☐ დადებითად
☐ საშუალოდ
☐ უარყოფითად
3. Zoom პლატფორმის გამოყენებით სასწავლო პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს?
☐ დიახ
☐ არა
4. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასურველია სხვა ონლაინ პლატფორმის გამოყენება სასწავლო პროცესში?
☐ დიახ
☐ არა
5. პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის სასწავლო მასალის მიწოდების რომელი გზები გამოიყენება დისტანციური სწავლებისას?
(შეგიძლიათ მიუთითოთ ერთი ან რამდენიმე)
☐ Zoom-ის საშუალებით
☐ სასწავლო პლატფორმის (LMS) გამოყენებით
☐ ელექტრონული ფოსტით
☐ სოციალური ქსელების/მესენჯერების მეშვეობით
☐ სხვა (გთხოვთ მიუთითოთ): _____
6. თქვენი დაკვირვებით, რამდენად აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტები/მსმენელები დისტანციურ მეცადინეობებში?
☐ აქტიურად
☐ საშუალოდ

☐ ნაკლებად აქტიურად
☐ საერთოდ არ არიან აქტიური

7. დისტანციური მეცადინეობებისას, რამდენად ხშირად ერთვებიან სტუდენტები/მსმენელები დისკუსიებში და სვამენ კითხვებს?

☐ ყოველთვის
☐ ხშირად
☐ ზოგჯერ
☐ იშვიათად
☐ არასდროს

8. რამდენად უზრუნველყოფს დისტანციური სწავლების ფორმატი სტუდენტთა/მსმენელთა თანაბარ ჩართულობას?

☐ სრულად
☐ ნაწილობრივ
☐ არ უზრუნველყოფს

9. თქვენი შეფასებით, დისტანციური სწავლების პირობებში სტუდენტთა/მსმენელთა საერთო ჩართულობა არის:

☐ მაღალი
☐ საშუალო
☐ დაბალი

10.ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების პირობებში შედეგის დადასტურების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების ვალიდურობას?

☐ სრულად ვეთანხმები
☐ ნაწილობრივ ვეთანხმები
☐ არ ვეთანხმები

11. ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების პირობებში შედეგის დადასტურების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას?

☐ სრულად ვეთანხმები
☐ ნაწილობრივ ვეთანხმები
☐ არ ვეთანხმები

12.ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ დისტანციური სწავლების პირობებში შედეგის დადასტურების პროცესი უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას?

☐ სრულად ვეთანხმები
☐ ნაწილობრივ ვეთანხმები
☐ არ ვეთანხმები

13. დისტანციური სწავლებისას ონლაინ მეცადინეობებზე პროფესიული სტუდენტების დასწრება:

☐ გაიზარდა
☐ შემცირდა
☐ უცვლელი დარჩა

14. დისტანციური სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ მიიჩნევთ თუ არა საკუთარი კომპიუტერული ტექნოლოგიების კომპეტენციების ამაღლებას?

☐ დიახ
☐ არა

15. რა სახის ტრენინგს მიიჩნევთ საჭიროდ თქვენი კვალიფიკაციის ამაღლებისთვის?

(გთხოვთ მიუთითოთ კონკრეტულად)

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გისურვებთ წარმატებებს!